ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე – კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ხ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ადვოკატი მ. კ. /სიითი N /

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 21.11.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 080/21

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი ე. პ. /სიითი N /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ე. პ.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის განმარტება:**

1.1 2021 წლის 21 ნოემბერს მომართა ეთიკის კომისიას მ. ხ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ე. პ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მომჩივანის წარმომადგენელმა მ. კ..-მ დისტანციურ რეჟიმში 2022 წლის 24 მარტს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. საჩივრის მიხედვით, მ. ხ. და მ. ე. იყვნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში. მათ შორის დაიწყო სამოქალაქო დავა. დავაში მ. ა.-სთან ერთად, როგორც მოპასუხე მხარედ ჩართული იყო ნ. ფ., რომლისგანაც ერთად თანაცხოვრების პერიოდში მ. ხ.-მა და მ. ე.-მ შეიძინეს ბინა. აღნიშნული ბინის კუთვნილება სადავო გახდა სამოქალაქო დავის ფარგლებში. მ. ე.-ს ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი ე. პ..

1.2 2021 წლის 29 ოქტომბერს გორის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სხდომის დროს მკვეთრად გამოიკვეთა მ. ე.-ს წარმომადგენლის ე. პ.-ს მხრიდან ინტერესთა კონფლიქტი. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ნ. ფ.-ს შესაგებელზე ე. პ.-მა მტკიცებულებების თაობაზე გააკეთა მინაწერი, რაც თავად ე. პ.-მაც

დაადასტურა სასამართლო სხდომაზე. ნ. ფ.-მა პროცესის დასრულებისას აღნიშნა, რომ შესაგებელი მან უსასყიდლოდ შეუდგინა ადვოკატმა ე. პ.-მა.

1.3 მომჩივანის განმარტებით, მ. ე.-ს თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნა იყო თანხის დაკისრება, ხოლო მას შემდეგ რაც ე. პ. გაურიგდა ნ. ფ.-ს, მოსარჩელე მხარემ შეცვალა დავის საგანი და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სადაც გამყიდველი არის ნ. ფ.. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ე. პ.-ს მიერ შედგენილი შესაგებლით მთლიანად აღიარებულია სარჩელი. შესაბამისად, ის გარემოება, რომ შესაგებელი შედგენილია უსასყიდლოდ, ე. პ.-ს მიერ და სრულად ეთანხმება სასარჩელო მოთხოვნას, ადასტურებს ადვოკატის მიერ მოდავე მხარის „მოსყიდვას".

1.4 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, მას პირად მტრად აღიქვამს ადვოკატი ე. პ., რადგანაც მ. ხ.-ს სიდედრია, რაც სიმართლეს არ შეესაბამება და ის მოქმედებს როგორც მისი კლიენტის წარმომადგენელი.

2. ადვოკატის განმარტება:

2.1 ადვოკატმა წერილობითი ფორმით 2021 წლის 08 დეკემბერს წარმოადგინა ახსნა-განმარტება. 2020 წლის 31 მარტს ადვოკატმა დისტანციურ რეჟიმში წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, ის მ. ე.-ს ინტერესებს წარმოადგენს 2018 წლიდან. კერძოდ, საქმე უკავშირდება მ. ხ.-ს, როგორც არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მიმართ მ. ე.-ს მიერ სარჩელის წარდგენას ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო ბინის შეძენას. მ. ა.-თან ერთად მოპასუხე მხარედ მიეთითა ბინის გამყიდველი ნ. ფ.. საქმის მიმდინარეობისას წარდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ბინა ნამდვილად შეიძინა მ. ე.-მ. ადვოკატის განცხადებით, მ. ხ. დაქორწინდა მ. კ..-ის შვილზე, რის შემდგომაც მ. კ.., როგორც სიძის წარმომადგენელი ისე ჩაერთო საქმეში.

2.2 ადვოკატის განცხადებით, 2019 წლის 13 ივნისს ნ. ფ.-მა შესაგებლით წარდგენილი სარჩელი ცნო, რომელიც ადვოკატს ჩაბარდა გორში მდებარე მის საადვოკატო ოფისში, რა დროსაც ადვოკატმა ნ. ფ.-ს დაუწერა ხელწერილი შესაგებლის ჩაბარებასთან დაკავშირებით, რასაც აგრეთვე მინაწერის სახით ადვოკატმა მიუთითა შესაგებლის გრაფაშიც. მის მიერ შესაგებელზე მინაწერის გაკეთება და ხელწერილის დაწერა აგრეთვე ადვოკატმა დაადასტურა სასამართლოში მიმდინარე სხდომაზეც.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ნ. ფ.-სთვის არ გაუწევია რაიმე სახის კონსულტაცია, მათ შორის უარყოფს შესაგებლის შედგენას. ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან, 2019 წელს სასარჩელო მოთხოვნა შეიცვალა, მოპასუხე ნ. ფ.-მა ცნო მ. ე.-ს სარჩელი, რაც მიუთითა როგორც შესაგებელში, ასევე მისი პოზიცია დააფიქსირა სასამართლო სხდომაზეც. კერძოდ, ნ. ფ.-მა დაადასტურა, რომ საცხოვრებელი სახლის თანხა გადასცა მ. ე.-მ, მაგრამ ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა მ. ა.-თან. ადვოკატის განმარტებით, ის დღემდე წარმოადგენს მ. ე.-ს ინტერესებს, რომელსაც მის საადვოკატო მომსახურებაზე პრეტენზია არ აქვს.

3. ადვოკატის მოწმე მ. ე.-ს ახსნა-განმარტება:

3.1 მოწმე მ. ე.-მ 2022 წლის 7 აპრილს დისტანციურ რეჟიმში ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. მოწმის განცხადებით, ის 2009 წლიდან იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში დ. ა-თან და 2017 წლიდან აქვთ კონფლიქტი, მას შემდეგ მათ შორის არის ქონებრივი დავა, კერძოდ, საქმე უკავშირდება სადავო ბინის მიკუთვნებას.

3.2 მოწმის განცხადებით, მის ინტერესებს 4 წლის განმავლობაში წარმოადგენს ადვოკატი ე. პ. და ის კმაყოფილია მისი საადვოკატო მომსახურებით. მოწმის განმარტებით, არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ადვოკატი ე. პ. მოდავე მხარის პოზიციას მიმხრობოდა. მოწმის განცხადებით, მ. ხ.-ს მიზანია სასამართლო პროცესების დროში გახანგრძლივება.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ე. პ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№/ სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

4.2 მ. ხ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 21 ნოემბერს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. პ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ე. პ.-ს მიერ შემდეგი პროფესიული ვალდებულების შესაძლო დარღვევის შესახებ:

> ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 6.1).

6.2 „ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევა კლიენტებისათვის, რომელთაც არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია აქვთ იმავე ან დაკავშირებულ დავაში. ადვოკატი ვერ შეძლებს პარალელურად ორი კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას, თუ ისინი პროცესუალური მოწინააღმდეგეები არიან“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2015 წლის 06 აგვისტოს გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე №079/14, 5.6).

6.3 ადვოკატი ე. პ. სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით, წარმოადგენს მომჩივანის მოდავე მხარეს - მ. ე.-ს. საქმეში ასევე მოპასუხე მხარედ ჩართულია ნ. ფ. - სადავო ბინის გამყიდველი (იხ. პუნქტები: 1.1.; 1.2. და 2.1). მომჩივანის პრეტენზიის მიხედვით, ადვოკატმა ე. პ.-მა შესაგებელი შეუდგინა მისი კლიენტის მოდავე მხარეს ნ. ფ.-ს. საჩივრის მიხედვით, ადვოკატმა ე. პ.-მა „მოისყიდა“ მოდავე მხარე. (იხ. პუნქტი: 2.3).

6.4 კოლეგია აღნიშნავს, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქნის საფრთხის დადგენა შესაძლებელია კლიენტის მიერ გამოხატული პრეტენზიის საფუძველზე, რომელიც ადვოკატს ანდობს თავის საქმეს. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკური სტანდარტის დაცვის მიზანია კლიენტის ინტერესების დაცვა, მათ შორის მისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის მეორე კლიენტის სასარგებლოდ გამოყენების თავიდან არიდება, კლიენტის ინტერესებისთვის ზიანის მიყენების პრევენცია. მოცემულ შემთხვევაში, მ. ხ. წარმოადგენს მოდავე მხარეს, რომელიც არ წარმოადგენს უფლებამოსილ პირს, რომლის ინტერესებზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს ადვოკატის მიერ განხორციელებული სადავო ქმედება. ადვოკატის კლიენტი - მ. ე. სადავოდ არ ხდის ადვოკატის მიერ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკური ვალდებულების დარღვევას და უარყოფს მომჩივანის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ადვოკატი ე. პ. მოქმედებდა მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ და ნ. ფ.-ს ინტერესების სასარგებლოდ.

6.5 2019 წლის 13 ივნისს მ. ე.-მ, როგორც ე. პ.-ს წარმომადგენელმა ჩაიბარა შესაგებელი (იხ. ხელწერილი). შესაგებელზე თანდართული საბუთების ნუსხის გრაფასთან აღნიშნულია შემდეგი წარწერა: „ხელწერილი, პირადობის ასლი“, და ამავე შესაგებლის მე-7 გვერდზე: „ხელწერილი პირადობის ასლი“. ადვოკატი ე. პ. ადასტურებს, რომ მის მიერ იქნა მინაწერი გაკეთებული. ის გარემოება, რომ ადვოკატმა მოდავე მხარისგან ჩაიბარა შესაგებელი, რაც დაადასტურა ხელწერილით და შესაგებელზე მიუთითა, რომ თანდართული დოკუმენტის სახით შესაგებელს ერთვოდა „პირადობის მოწმობა და ხელწერილი“, არ წარმოადგენს მისი კლიენტის მოდავე მხარისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევის დამადასტურებელ გარემოებას. ამავე დროს, ადვოკატი უარყოფს რომ ნ. ფ.-ს მან შეუდგინა შესაგებელი უსასყიდლოდ.

6.6 შედეგად, კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულებები, რაც სარწმუნოს გახდიდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის ფარგლებში ადვოკატის მიერ ერთ საქმეზე ერთდროულად მოდავე მხარეებისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას და შესაბამისად, შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის არსებობას.

6.7 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №080/21 ადვოკატ ე. პ.-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/